გამარჯვების ზეიმი პოლონეთში

პოლონეთის მშრომელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს თავიანთ ქვეყანაში სახალხო ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავი. საიუბილეო ზეიმი გაიმართა ვარშავაში, კულტურისა და მეცნიერების სასახლესთან ახლოს. ტრიბუნაზე იყვნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, საპატიო სტუმრები—სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი მეუღლითურთ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი მეუღლითურთ.

ზეიმი გაიხსნა სამხედრო აღლუმით, შემდეგ მოედანზე შემოვიდნენ პოლონეთის 17 საოლქო კოლონები, რომელთა ჩამოვლას თან ახლდა ხალხური სიმღერები და ცეკვები. დემონსტრაციის დასკვნითი ნაწილი, რომელმაც 3 საათს გასტანა, დაეთმო სპორტულ გამოსვლებს. იგი გახსნეს სპორტულ საზოგადოებათა მედროშეებმა. შემდეგ ისინი შეცვალა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ოლიმპიური გუნდის კანდიდატთა კოლონამ, რომელთა მკერდზე კიაფობდა ოლიმპიადებზე, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებული მედლები.

ძალზე ამაღელვებელი იყო 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადაზე—სახალხო პოლონეთის, თანამეგობრობის ველი სპორტსმენი გოგონებისა [illegible] ოლიმპიადის გამოჩენა. საღამოს ზეიმის ცენტრი იყო „10 წლისთავის“ სახელობის სტადიონი. აქ შეკრებილი 100 ათასი მაყურებელი პოლონელი სპორტსმენების მაღალი ოსტატობის მოწმე გახდა. დასასრულ პოლონეთის ჩემპიონი ფეხბურთში ზაბეკუს „გურნიკი“ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში შეხვდა უნგრეთის ჩემპიონს — მტკ-ს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 145 (2508) ◉ შაბათი, 25 ივლისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

ბოლო ამბავი...

ა. მეტრეველის თამაში შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს

ბუქარესტი, 24 ივლისი. დღეს, სპორტკლუბ „პროგრესულის“ საჩოგბურთო კორტებზე დაიწყო გალეას თასის — ევროპის ჭაბუკთა არაოფიციალური გუნდური პირველობის — ზონალური ტურნირი.

სსრ კავშირის გუნდმა, რომელსაც სათავეში უდგას ამ ქვეყნის ჩემპიონატის „ვერცხლის პრიზიორი“ ა. მეტრეველი, წარმატებით აიღო სტარტი. პირველ დღეს საბჭოთა ჩოგბურთელები ბულგარელებს შეხვდნენ, სამივე ორთაბრძოლა მოიგეს და ხვალინდელი ორი მატჩის შედეგის მიუხედავად, გაინაღდეს თასისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება.

თბილისელმა ა. მეტრეველმა შესანიშნავ სტილში დაამარცხა ველევი — 6:2, 6:1; ლენინგრადელმა ა. ივანოვმა მოუგო იასმაკოვს (6:0, 6:4), ხოლო მოსკოველი ვ. კოროტკოვისა და რიგელი პ. ლამპის წყვილმა ძლია იასმაკოვსა და პამპოულოვს (8:6, 6:1, 3:6, 6:2).

ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა ალექსანდრე მეტრეველმა, რომლის თამამ და ოსტატურ თამაშს მრავალრიცხოვანი მაყურებელი ძალიან ხშირად ტაშით აჯილდოებდა.

* * *

◆ *ხაბაროვსკი. 25 ივლისს აქ იწყება სსრ კავშირის პირადი პირველობა კრივში. ამ საინტერესო ასპარეზობის ჩატარებისთვის ქალაქის ორგანიზაციები სანიმუშოდ მოემზადნენ. შეჯიბრების ბევრი მონაწილე, მათ შორის ოლიმპიური ჩემპიონები ო. გრიგორიევი და ვ. საფრონოვი, სსრ კავშირის ჩემპიონები ვ. აგეევი, ი. კონოპლიოვი და სხვები, რამდენიმე დღეა უკვე აქ არიან. ვაჟკაცურად მოიქცა ლიტვის ჩემპიონი ტადეუშ ტომაშევიჩი (მჩატე წონა), რომელმაც ამურზე სეირნობისას გადაარჩინა მდინარეში ჩავარდნილი ბავშვი.*

◆ **ბუდაპეშტი**, 24 ივლისი. ლ. ასტალოშის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში მოხდა გადადებული პარტიების დამთავრება. გადამწყვეტი შეხვედრების წინ კვლავ ლიდერობს საბჭოთა ოსტატი ა. გიპსლისი — 10 ქულა. ბულგარელ დიდოსტატ მ. ბობოცოვს 9 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. მესამე ადგილზეა პ. დელი (უნგრეთი) — 8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

◆ **კრაკოვი**. 24 ივლისი. სტუდენტთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ფინალურ ტურნირში სსრ კავშირის გუნდმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოუგო პოლონელებს — 3:1.

დღეს, ლოს-ანჟელოსში

სსრ კავშირისა და აშშ-ის მძლეოსანთა საერთაშორისო შეხვედრას, ანუ, როგორც მას სამართლიანად უწოდებენ, „გიგანტთა მატჩს“, საფუძველი ჩაეყარა 1958 წელს, როცა მოსკოვში მოეწყო ამგვარი პირველი შეჯიბრება. მაშინ საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა 2 ქულაში გამოიხატა — 172:170. მას შემდეგ მატჩი ტრადიციული გახდა და იგი ყოველწლიურად იმართება ხან შეერთებულ შტატებში, ხანაც ჩვენში. უკვე შედგა ხუთი შეხვედრა და ყველა მათგანი საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა.

„გიგანტთა“ ტრადიციული მატჩები გაიმართა: 1959 წელს ფილადელფიაში — 175:167, 1961 წელს მოსკოვში — 179:163; 1962 წელს პალო-ალტოში — 173:169; 1963 წელს მოსკოვში — 189:147.

მორიგი, მეექვსე შეხვედრა დღეს — 25 ივლისს დაიწყება ლოს-ანჟელოსში. ეს იქნება ორივე ქვეყნის ძალთა გენერალური შემოწმება ტოკიოს ოლიმპიური თამაშების წინ. როგორც ამერიკის პრესა იუწყება, ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელდა მათი ლიდერი რ. ჰეიესი და იგი ძალებს ცდის სპრინტში, აგრეთვე ამანათრბენში 4×100 მ.

თეიმურაზ მდივანი — 209 სმ!

ვილიანდი, 24 ივლისი (დეპეშით). აქ საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნები, რომლებიც 29 ივლისს ტარტუში სტუდენტთა თამაშებში ჩაებმებიან.

ტარტუში წასვლამდე გაიმართა ძალთა უკანასკნელი შემოწმება. წარმატებით გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი თ. მდივანი, რომელმაც დაძლია 209 სმ სიმაღლის თამასა. ეს შედეგი მეორეა სიმაღლეზე ხტომის ისტორიაში საქართველოში.

ა. ხუციშვილი,
ა. კონსტანტინოვი.

მსოფლიო რეკორდსმენი ჩამორჩა

ვილნიუსი, 24 ივლისი (ტელეფონით). სტუდენტ-მოცურავეთა საკავშირო თამაშებში კონკურსგარეშე ასპარეზობენ ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებიც. 200 მ ბრასის სტილით ცურვაში თავი ისახელა თბილისელმა ა. ტუტაკაევმა. მან უკან ჩამოიტოვა ყველა მეტოქე, მათ შორის მსოფლიო რეკორდსმენი გ. პროკოპენკოც და საუკეთესო დრო — 2.38,8 აჩვენა. მსოფლიო რეკორდსმენის შედეგია 2.44,4. ფინალში მონაწილეობდნენ მხოლოდ სტუდენტები. აქ გამარჯვება წილად ხვდა ვოლგოგრადელ ა. საფრონოვს — 2.39,7.



ლენინგრადში ჩატარდა საერთაშორისო მატჩი ფარიკაობაში ნიდერლანდების, რსფსრ-სა და ლენინგრადის ნაკრებ გუნდებს შორის. სურათზე აღბეჭდილია ლენინგრადელი ო. კოროტკოვისა (მარცხნივ) და რ. ენგელბრატის (ნიდერლანდები) შეხვედრის მომენტი. გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა.

ფოტო პ. ფედოტოვისა (საკადესი).

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

სოხუმი, 24 ივლისი (**ტელეფონით ჩვენი კორ.**). აქ შედგა მორიგი ტურის მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „დინამომ“ მიიღო ნოვოროსიისკის „ცემენტი“: 1:0.

სოხუმელებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:1.

ფოთი, 24 ივლისი (**ტელეფონით ჩვენი კორ.**). აქ ერთმანეთს შეხვდნენ ფოთის „კოლხიდისა“ და მაიკოპის „უროჟაის“ ფეხბურთელები.

ფოთელებს აჯლიათ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, ამიტომ ისინი საკმაო სიძლიერით ვერ ატარებენ მატჩებს. ამჯერადაც მათ აიღეს მხოლოდ 1 ქულა — 0:0.

ბათუმი, 24 ივლისი (**ტელეფონით ჩვენი კორ.**). ბათუმის დინამოელებმა, რომლებიც დიდხანს ლიდერობდნენ გათამაშებას ზონაში, წარუმატებლად ჩაატარეს გასვლითი თამაშები ბოლო ტურებში.

„ბ“ კლასი

ბათუმელებმა ამჯერად საკუთარ მინდორზე მიიღეს ქ. კავმინვოდის „შრომითი რეზერვები“. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც მასპინძლებმა გაიტანეს მეტოქის კარში — 1:0.

\• \• \•

ჩვენი რესპუბლიკის ორ გუნდს გუშინ მატჩები ჰქონდა მოწინააღმდეგეთა მინდერებზე. გურჯაანის „ალაზანი“ გროზნოში შეხვდა ადგილობრივ „თერგს“, რომელიც ამჟამად პირველ ადგილზე იმყოფება IV ზონაში.

„ალაზანმა“ საუკეთესო თამაში აჩვენა და დაამარცხა „თერგი“ ანგარიშით 1:0.

დიდ ინტერესს იწვევდა რუსთავის „მეტალურგის“ მატჩი მახაჩყალის „დინამოსთან“.

დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ვნახავთ ბერძენ ფეხბურთელებს

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის მოწვევით ჩვენს ქვეყანაში ჩამოდის საბერძნეთის „პანიონიოსის“ კლუბის გუნდი. თავისი ქვეყნის ამას წინათ დამთავრებულ ჩემპიონატში მან დაიკავა IV ადგილი.

სტუმრები ჩაატარებენ სამ შეხვედრას. 4 აგვისტოს ითამაშებენ მოსკოვის „ტორპედოსთან“, 7-ში — **თბილისის „ლოკომოტივთან“**, ხოლო 3 დღის შემდეგ—ერევნის „არარატთან“.

იაპონელთა მეორე მატჩი

სვერდლოვსკი, 24 ივლისი. აქ იაპონიის ფეხბურთელთა ოლიმპიური გუნდი მეორე ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში შეხვდა რსფსრ-ს ნაკრებს. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

... ბოლო ამბავი

რეკორდებით...

რიგა, 24 ივლისი (**დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.**). სტუდენტთა IV საკავშირო ასპარეზობაზე ძალოსნობაში მრავალმა ცნობილმა სპორტსმენმა მოიყარა თავი. უმჩატეს წონაში გაიმარჯვა მოსკოველმა ვ. ივკინმა (277,5 კგ). II და III ადგილებზე გამოვიდნენ რ. ზაკიევი და გ. თავაძე (ორივენი — უკრაინიდან). მჩატე წონაში პირველი იყო ა. პრილეპინი (მოსკოვი) — 310 კგ. მეორე ადგილზე გამოსულმა ლ. მანუკიანმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. გამარჯვებულთა შედეგები სტუდენტთა ახალი საკავშირო რეკორდებია.

ფინალში — უნივერსიტეტელები...

25 ივლისს კაუნასში იწყება სელბურთელთა ფინალური ასპარეზობა. მას წინ უძღოდა შეხვედრები ქვეჯგუფებში. თბილისის უნივერსიტეტის ხელბურთელებმა, რომლებიც ლენინგრადის ქვეჯგუფში თამაშობდნენ კიშინიოვის უნივერსიტეტის, დუშანბეს პედაგოგიური ინსტიტუტის, ლენინგრადის, ხარკოვის და ტალინის პედაგოგიური ინსტიტუტების გუნდებთან ერთად, ყველა მეტოქე იოლად დაამარცხეს და დამსახურებულად გავიდნენ ფინალში. მეორე ადგილზეა ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. მათაც მიიღეს ფინალის საგზური.

... და ფიზკულტურის ინსტიტუტელები

აქვე დამთავრდა კალათბურთელთა შეხვედრები — ქვეჯგუფში. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა გუნდმა მეორე ადგილის მოპოვებით შეძლო ფინალში გასვლა. აქ კონკურენციის გარეშე იყვნენ კაუნასის ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლები. მათ დაიკავეს I ადგილი და ფინალში 2 ქულით შევიდნენ.

გ. შეყილაძე
(ჩვენი სპეც. კორ.).

ლენინგრადი.

სმოლენსკში...

სმოლენსკის ქვეჯგუფში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა (მწვრთნელი ი. ნიკოლაიშვილი) ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ სტუდენტთა თამაშების ფინალში გასვლა გაინაღდა. ჩვენმა ფრენბურთელებმა სმოლენსკელებთან გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1, კიეველებთან — 3:2, ხოლო ომსკელებთან — 3:1.

...და ლვოვში

დიდ წარმატებას მიაღწია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელ ქალთა გუნდმაც (მწვრთნელი ე. ანტონოვი), რომელმაც თავისი ოთხივე მეტოქე (უკრაინის, ყაზახეთის, ბელორუსიისა და სომხეთის სპორტსმენები) „მშრალი“ ანგარიშით (3:0) დაამარცხა და სტუდენტთა საკავშირო თამაშების ფინალში გავიდა.

აი, რა გვაღელვებს

ვ. კობახია,
გუდაუთის სასოფლო-საწარმოო
სამმართველოს პარტიული
კომიტეტის მდივანი

გუდაუთის ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში.

ჩვენი რაიონის სპორტულმა დელეგაციამ თავი ისახელა აფხაზეთის III სპარტაკიადაში, სადაც III ადგილი და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს პრიზი დაიმსახურა. აფხაზეთის ნაკრებ გუნდებში 40 გუდაუთელი სპორტსმენი მონაწილეობდა საქართველოს III სპარტაკიადაზე თბილისში.

ეს უველაფერი კარგია. შეიძლება კიდევ გვეთქვა ჩემპიონებზე, უანგარო აქტივისტებზე, შრომასა და სპორტში სასახელო ადამიანებზე, რომლებიც ბლომად არიან გუდაუთში, მაგრამ დღეს ყველა გუდაუთელს გვაღელვებს სპარტაკიადებში მონაწილეობის დროს შემჩნეული ხარვეზები როგორც მასობრივ-ფიზკულტურულ, ისე სასწავლო-სპორტულ მუშაობაში. სწორედ ამ საკითხებზე იმსჯელა ახლახანს სასოფლო-საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ბიურომ.

პირველი, რაც აღინიშნა ბიუროზე, იყო ის, რომ რაიონში ნაკლებადაა დანერგილი სპორტის ზოგიერთი წამყვანი სახეობა — მძლეოსნობა, ძალოსნობა, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ვოლორბოლა და სასტენდო სროლა. როგორც ჩანს, ფიზკულტურულ კოლექტივებში არასათანადო ყურადღება ექცევა სპორტის ამ სახეობებს, სუსტადაა დაყენებული სექციური მუშაობა.

ასევე შეიძლება ითქვას საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვაზე. მხოლოდ ოთხ ორგანიზაციაში (პურის, ღვინის, საფერმენტაციო ქარხნებსა და ჩაის ფაბრიკაში) ჩატარდა სემინარები, მომზადებულ ინსტრუქტორებს კი ჯერაც არ დაუწყიათ მუშაობა, რაც ყოვლად მიუტევებელია.

რაიონის კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, სპორტსაზოგადოებები, წარმოებათა, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ხელმძღვანელები, სკოლების დირექტორები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობას, რის გამოც ნელი ტემპით იზრდება ფიზკულტურელთა რიცხვი, ნაკლებად მოდის სპორტულ სექციებში ახალგაზრდობა, განსაკუთრებით კი ქალები, „არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მუშაობა უფროსი ასაკის ადამიანებთან.

სპორტული მუშაობის მძლავრი ბერკეტი კარგი სპორტული ბაზებია: თუ ავიღებთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, საქმე არ გვაქვს ცუდად. ბევრგან არის მარტივი ტიპის მოედნები, რაც ფიზკულტურული კოლექტივების ინიციატივითაა გაკეთებული. რაიონში ცოტაა სპორტული დარბაზი. განსაკუთრებით ეს შეეხება სკოლებს. ხოლო იქ, სადაც გვაქვს, მათ ხშირად არადანიშნულებისამებრ იყენებენ. მაგალითად, გუდაუთის სკოლა-ინტერნატის სპორტული დარბაზი დირექციამ მხატვრულ სახელოსნოდ (ისიც ზამთარში!) გადააქცია. გუდაუთის პირველი საშუალო სკოლის ხელმძღვანელობამ სპორტული დარბაზი საკონცერტო დარბაზად გახადა. ზომები უკვე მიღებულია: მოსწავლეებს კვლავ ექნებათ საშუალება სპორტულ ბაზებზე განაგრძონ მეცადინეობა.

გუდაუთში „ყველაფერი კეთდება ბავშვთა ფიზიკურ აღზრდისთვის. რაიონში აოს ბავშვთა სპორტული სკოლა, ცხენოსნობის სპორტსკოლა, პიონერთა სახლში მოქმედებენ სპორტული სექციები. აქ მომზადებული ნორჩი სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობენ როგორც რაიონის, ისე აფხაზეთის სპორტულ ცხოვრებაში. მაგრამ ამ უბანზეც გვაქვს ნაკლოვანებანი! მაგალითად, სპორტული სკოლის შენობა უვარგისია, პატარაა დარბაზი, დაბალია მისი ჭერი. ამასთან, იგი ნესტიანი და ბნელია, ზამთარში არ თბება.

როგორც ხედავთ, გუდაუთში სპორტის მესვეურებსა და გულშემატკივრებს აქვთ საფიქრელი და საზრუნავი. ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებიდან გამომდინარე, ბიუროომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. ეჭვი არ არის, რომ მათ ხორცს შეესხამთ. ამის საწინდარი მონდომება და სპორტისადმი დაუოკებელი სიყვარულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაჭვი ჯაჭვი

● **მოსკოვი**, 23 ივლისი. „ხიმკის“ წყალსაცავზე დაიწყო ჩვენი ქვეყნის I ჩემპიონატი წყლის თხილამურებში. შეჯიბრებაზე თავი მოიყარა 50-ზე მეტმა სპორტსმენმა. პირველი დღე დაეთმო სლალომს. მონაწილეებს გასავლელი ჰქონდათ 280-მეტრიანი ტრასა. სპორტსმენთა შორის აქ შეხვდებით სამთო-სათხილამურო სპორტის ცნობილ ოსტატებს, რომლებიც ახლა წყლის თხილამურებზე ცდიან ძალებს. ცალი და წყვილი თხილამურებით შეჯიბრებაში ქალთა შორის I ადგილი მოიპოვა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჩემპიონმა ტ. როყოვამ. ამავე სახეობაში ვაჟთა ტურნირი დამთავრდა დოსაფის გუნდის წევრის ნ. დოროშინის გამარჯვებით.

● **ვილნიუსი**. 23 ივლისი. გრძელდება სტუდენტთა თამაშების მონაწილე მოცურავეთა შეჯიბრება. მასობრივითა და მაღალი შედეგებით იგი უველა წინანდელ ანალოგიურ შეჯიბრებას აღემატება. კარგი შედეგები აჩვენეს და გაიმარჯვეს: სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. კუზმინამ (მოსკოვი) 100 და 200 მ ბატერფლაის სტილით ცურვაში (1.02,8 და 2.18,0 შესაბამისად), ოსტატმა ვ. მაზანოვამ — 200 მ ზურგზე ცურვაში 2.21,7. ვოლგოგრადელმა პ. კიკალოვმა — 400 მ თავისუფალი სტილით ცურვაში 4.38,0.

ქალთა შორის 100 მეტრზე ბრასით ცურვაში პირველი იყო უკრაინელი ლ. ნიკიტინა 1.23,8. ლენინგრადელმა ლ. ვიქტოროვამ ჩემპიონობა დაისაკუთრა 100 მ ზურგზე ცურვაში — 1.13,4.

● **კიევი**. 23 ივლისი. ახალაგებულ სასროლეთზე ჩატარდა დოსაფის საკავშირო პირველობა ტყვიით სროლაში. გაუმჯობესდა საზოგადოების 3 რეკორდი. ერთი მათგანი ეკუთვნის ახალგაზრდა ლატვიელ ო. ხლამოვს, რომელმაც პისტოლეტიდან 5 სილუეტზე სწრაფსროლაში 584 ქულა მოაგროვა. მეორეს ავტორია ა. გრიშჩინი (ტაჯიკეთი) პისტოლეტიდან მრგვალ სამიზნეზე სროლაში — 277 ქულა. მესამე რეკორდი დაამყარა მანვე, ამჯერად სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში — 580 ქულა.

● **ოდესა**, 23 ივლისი. ბულგარეთის არმიის სპორტკლუბ „ჩერნო მორეს“ 14-მა აღზრდილმა შავ ზღვაზე ვარნადან ოდესამდე ცურვით განვლო 502 კილომეტრი. სპორტსმენებს მიყვებოდნენ სპეციალური თბომავალი და ბუქსირი. ყოველ ეტაპზე სპორტსმენები 30 წუთს ცურავდნენ, რის შემდეგ ესტაფეტა მიჰქონდა თანაგუნდელს. საბოლოოდ თვითეულმა მონაწილემ წყალში დაჰყო 13 საათი.

ა. ბოკუჩავას წარმატება

ლენინგრადი, 24 ივლისი. (ტელეფონით). აქ დამთავრდა საკავშირო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც ჭაბუკი ოსტატობის კანდიდატები ოსტატობაზე „გამოცდას“ აბარებდნენ დიდოსტატ ა. პეტროსიანსა და 4 ოსტატს. ჭაბუკებს შორის იყო საქართველოს 1964 წლის პირველობის პრიზორიც—17 წლის ა. ბოკუჩავა.

თბილისელმა მოჭადრაკემ წარმატებით დააგვირგვინა ძნელი ტურნირი. მან შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა — მოაგროვა 8 ქულა 15 შეჯახებლიდან.

ა. ბოკუჩავა თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეა. იგი პიონერთა სასახლის საჭადრაკო კაბინეტში სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ხელმძღვანელობით ეუფლება ჭადრაკს.

ვაი, ამ ყოფას!

„კომკავშირი — ფიზკულტურული მუშაობის ავანგარდში!“ იმედიანად ჟღერს ეს სიტყვები და დამსახურებულადაც.

ამბობენ: აქტიურია ქუთაისის კომკავშირული ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი ბირთვი — საქალაქო კომიტეტიო. მართლაც, თუ გადავხედავთ კომკავშირულ - ფიზკულტურული აქტივების კრებათა ოქმებს, საკმაოდ შინაარსიანი სიტყვებით წარმოგვიდგებიან კომკავშირული მუშაკები. კარგია, რომ ისინი სხვათა მუშაობაში ამჩნევენ ნაკლს, მაგრამ სამწუხაროა, როცა „ხეებს იქით ტყეს ვერ ხედავენ“.

კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის ცხვირწინ, მათი შენობების ტერიტორიაზე იყო კალათბურთის ერთ დროს კეთილმოწყობილი მოედანი. უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა. ვარჯიშებიც ტარდებოდა, ისმოდა მსაჯის სასტვენის ხმაც, სპორტსმენთა შეძახილები და გულშემატკივართა ყიჟინა. მართალია, იგი მცირე მასშტაბის იყო. მაგრამ მოედანი მოედნობდა და ახლა აღარ მოედნობს.

ბაზა ერთბაშად მიივიწყეს. დგარებიდან ფარებიც კი დაიტაცეს. დარჩა მხოლოდ რკინის ძელები და მოედნის ხაზების მკრთალი გამოსახულებანი.

კიდევ კარგი, რომ მოედანი „შენიღბულ“ ტერიტორიაზეა, თორემ ქუთაისის რამდენი სტუმრის წინაშე შეარცხვენდა მასპინძლებს...

ო. გელაშვილი

* * *

სურათზე: აი, კალათბურთის მოედნისთვის „მზრუნველობის“ თვალსაჩინო ნიმუში!

ფოტო ავტორისა.



ვისწავლოთ ცურვა

რა უნდა იცოდეს დამწყებმა

მწვრთნელის რჩევა-დარიგებანი

დიდია ცურვის, როგორც ადამიანთა ფიზიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორის, მნიშვნელობა. იგი ისეთი ვარჯიშია, რომელიც საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა წესით, რაიმე ხელსაწყოს დაუხმარებლად ვიმოძრაოთ წყალზე და მის ქვეშ. ცურვა ავითარებს მრავალ სასარგებლო თვისებას — ამტანობას, მოქნილობას, რეაქციას და დიდი გამოყენება აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ცურვის ცოდნა უბედური შეშთხვევებისგან ადამიანთა დაცვის შესანიშნავი საშუალებაა და აუცილებელია არა მარტო სპორტსმენმოცურავეებისთვის, არამედ ყველა მოქალაქისთვის. მას, ვინც იცის ცურვა, სწრაფი და ღრმა წყლის არ ეშინია, ადვილად შეუძლია მისი დაძლევა და საჭიროების შემთხვევაში მზადაა დახმარების ხელი გაუწოდოს წყალწყლებულს.

პრაქტიკული გამოყენების გარდა ცურვას უდიდესი ჰიგიენური მნიშვნელობაც აქვს. ცურვის დროს წყალი მექანიკურად ასუფთავებს, ათავისუფლებს ცხიმისა და საოფლე ჯირკვლებს, ხელს უწყობს კანისა და კანქვეშა ფენების კვებას, მოვარჯიშის კანს აძლევს ელასტიურობასა და სიგლუვეს.

სპორტის ამ სახეობაში ნაწრთობი ადამიანები ნაკლებად გრძნობენ დაბალ ტემპერატურას, მათი ორგანოები უფრო მეტ ხანს ინარჩუნებს სითბოს.

დიდია წყლის გამაჯანსაღებელი გავლენა ნერვულ სისტემაზეც. რეგულარული ვარჯიში ანელებს ზედმეტ აღგზნებასა და გაღიზიანებას, ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდება მშვიდი. ცურვა კარგად მოქმედებს ადამიანთა სხვა შინაგანი ორგანოების განვითარებაზეც, ვიხაიდან იგი მთელი რიგი რთული მოძრაობებისგან შედგება, რაშიც სხეულის თითქმის ყველა კუნთი მონაწილეობს.

ცურვას, როგორც სამკურნალო ფაქტორს, აღიარებდნენ უძველეს დროშიც. მეცნიერები და სპეციალისტები ერთხმად აღნიშავდნენ, რომ ადამიანის ორგანიზმისათვის ყველაზე მეტი სარგებლობა მოაქვს წყლის პროცედურებს — ცურვას, შხაპს და ა. შ. ამასთან, თანდათან დადგინდა, თუ წყლის რა ტემპერატურაა უფრო მიზანშეწონილი ვარჯიშებისთვის. ნორმალურ ტემპერატურად ითვლება მინიმუმ 19 გრადუსი, ხოლო წვრთნისთვის უკეთესია 24-24,5 გრადუსამდე გამთბარი წყალი.

თავისებურია ცურვის მეთოდები. დაუშვებელია დამწყების ხანგრძლივად წყალში ყოფნა. პირველ ხანებში საჭიროა „გავეცნოთ“ წყალს. ამისთვის კარგია, თუ წყალში დავყოფთ 10-15 წუთს. შემდეგ დრო თანდათან იზრდება და 2 საათამდე აღწევს. ცივ წყალში ხანგრძლივად ყოფნისას ორგანიზმი კარგავს სითბოს გამოყოფის უნარს, იწყება ერჟოლა, სხეულზე ჩნდება ხორკლი, ლურჯდება ტუჩები, რაც ცურვის შეწყვეტის და ჰაერზე სავალდებულო ამოსვლის ნიშანია.

ცურვის დაწყებისას წყალში ჩასვლა უნდა მოხდეს ერთბაშად, ყოველგვარი თანდათანობითი შეჩვევის — მკერდის, თავის, კიდურების ცალ-ცალკე დასველების გარეშე, რადგან ეს არასწორი „მეთოდი“ უფრო ხშირად იწვევს გაცივებას, ვიდრე წყალში ჩახტომა (გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ გულით დაავადებულნი). დაუშვებელია წყალში უმოძრაობა. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ აუცილებელია სხეულის შემშრალება და ხელის ნების დაცურებით კანის გაწმენდა, ცივ ამინდში კი რამდენიმე ტანვარჯიშული ილეთის შესრულება, ან ხანმოკლე რბენა გახურებისთვის.

კიდევ ერთი რჩევა: მიზანშეუწონელია ცურვა სადილობისთანავე. წყალში ჩასვლა შეიძლება სადილობიდან 1,5-2 საათის შემდეგ. მავნეა უზმოზე ცურვაც.

სავალდებულოა ყველა დამწყებმა გაიაროს სამედიცინო შემოწმება, რჩევა-დარიგებისათვის მიმართოს ექიმს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს წვრთნას. ხშირია შემთხვევა, რომ ადამიანი დაავადებულია, ამის შესახებ არაფერი იცის და თვითნებურმა ცურვამ შეიძლება მას ვნება მოუტანოს.

ლ. იოანიდი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ასე უნდა იქცეოდეს სპორტსმენი?!

ახლახანს ბათუმში ზღვისპირა პარკის საზაფხულო კორტებზე დამთავრდა საქართველოს 1964 წლის პირადი პირველობა ჩოგბურთში. მისი შედეგების შესახებ „ლელო“ უკვე იუწყებოდა. ჩვენ გვინდა შევეხოთ სხვა საკითხს.

სამწუხაროდ, შეჯიბრების დროს ადგილი ჰქონდა არასასიამოვნო ინციდენტს. იმ დროს, როცა კერესელიძე — გ. ღარიბაშვილის ორთაბრძოლა მიმდინარეობდა, პირველობის მონაწილე ზ. ღოღობერიძე (ამ დროს იგი მაყურებლის როლში იყო) სტვენითა და უადგილო შესახილებით ხელს უშლიდა ღარიბაშვილს ნორმალურად წარემართა მატჩი.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ გ. ღარიბაშვილმა ღოღობერიძის საქციელზე საჩივრით მიმართა მსაჯთა კოლეგიას. როდესაც მსაჯთა კოლეგია არჩევდა ამ უკანასკნელის სამარცხვინო საქციელს, ღოღობერიძემ და ღარიბაშვილმა ერთმანეთს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ორივე სპორტსმენი მსაჯთა კოლეგიამ სამართლიანად მოხსნა შეჯიბრებიდან, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

ეს ჩოგბურთელები საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები და გამოცდილი სპორტსმენები არიან. უფრო მეტიც, მათ დაამთავრეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და მწვრთნელებად მუშაობენ. ასეთი უღირსი საქციელი განა მათ ეკადრებათ?!

ო. მურვანიძე
(ჩვენი სპკ. კორ.).
ბათუმი.

„ა“ კლასი

მოსკოვი, 24 ივლისი. მორიგ მატჩში საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და კიშინიოვის „მოლდოვა“. შეხვედრის ანგარიშია 1:0 არძელთა სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში დანიშნული იყო ორი პენალტი. როგორც მოსკოველთა მეკარემ ბაუერამ, ისე ვებერმა („მოლდოვა“) შეძლეს ბურთების აღება.

დიდი ანგარიშით

სალავათი, 24 ივლისი. (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორრ.). აქ გრძელდება „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოზარდთა გუნდების საკავშირო ნახევარფინალური ტურნირი.

დიდ წარმატებას მიაღწიეს თბილისის დინამოელებმა. ჩვენი გუნდის მეტოქე მეორე ტურში იყო ბაქოს „სპარტაკი“. თბილისელებმა აბსოლუტური უპირატესობით ჩაატარეს შეხვედრა და დაამარცხეს ბაქოელები დიდი ანგარიშით — 9:0.

ორჯონიკიძის „სპარტაკისა“ და ყაზანის „ისკრის“ შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვეს სპარტაკელებმა — 1:0.

გამოუყენებელი შესაძლებლობანი

შოსტკი, 24 ივლისი. (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორრ.). ნახევარფინალური ტურნირი მიმდინარეობს ქალაქ შოსტკაშიც, სადაც მორიგ ტურში თბილისის ახალგაზრდათა საფეხბურთო სკოლას შეხვედრა ჰქონდა დონეცკის „შახტიორთან“.

თბილისელებმა წარმატებას მიაღწიეს დასაწყისშივე. ანგარიში გახსნა ჩიხრაძემ, მაგრამ 35-ე წუთზე ბეკარე გორჩტაიშვილის შეცდომის შედეგად „შახტიორმა“ გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

მეორე ტაიმში ჩვენი გუნდის მცველმა შხვაცაბაიამ არასწორად ითამაშა და საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი — 1:2. ამ გოლის გათანაბრებას თბილისელები საკმაო ხანს მოუნდნენ და ბოლოს, მე-80 წუთზე მესხიამ ბოჭორიძის გადაცემიდან აღადგინა წონასწორობა — 2:2. დარჩენილ დროში „შახტიორის“ კარი ძელმა ორჯერ იხსნა აკარა გოლისგან. საბოლოოდ ფიქსირებული იქნა ფრე — 2:2

ერევნის „არარატმა“ დაამარცხა არმავირის „ტორპედო“ — 5:1, ხოლო როსტოვის არმიელებმა — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — 1:0.

იერიშები მთავრდებოდა ზუსტად...

თბილისი, „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 23 ივლისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ტრუდი“ (ვორონეჟი) 4:0 (2:0).

„ლოკომოტივი“: რუხაძე, ჩხაიძე, ჩუბინიძე, წოწელია, კიზირია, იაშვილი, შაფათავა, აპრესიანი (დავითულიანი), ონიანი, ახალკაცი, კოშკელოვი.

„ტრუდი“: ლიტვინოვი, ლუკინი, მელნიკოვი, ბერეგოვსკი, ტრეტიაკოვი, ზოტოვი, ჩერნიშოვი, ლიბერი, იანიშევსკი, მანუილოვი, შაროვი (ბონდარენკო).

მსაჯი მ. შლიაპინი (ოდესა).

ვორონეჟის „ტრუდმა“, რომელიც ოდესღაც „ა“ კლასის I ჯგუფში გამოდიოდა, ძალზე ცუდად დაიწყო წლევანდელი სეზონი. იგი მატჩს მატჩზე აგებდა და კარგა ხნის განმავლობაში ბოლო ადგილზეც კი იმყოფებოდა. მაგრამ შემდგომში გუნდმა გამოასწორა მდგომარეობა და აღნიშნული მატჩისთვის უკვე ლიდერთა შორის დაიმკვიდრა ადგილი (IV).

თბილისის ლოკომოტიველები რთული ამოცანის წინაშე იდგნენ, ვინაიდან ასეთი აღმავლობის პროცესში მყოფ გუნდთან ბრძოლა მოითხოვდა ძალების განსაკუთრებულ მობილიზებას.

დიდი ანგარიშით მოგებულმა მატჩმა შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ თბილისელებმა მთლიანად დაჩაგრეს მეტოქე, მაგრამ ეს ასე არ იყო. „ტრუდი“ თამაშობდა მთელი მონდომებით და დროდადრო საკმაო ტერიტორიულ უპირატესობასაც აღწევდა. საქმე იმაშია, რომ „ლოკომოტივის“ თავდამსხმელები კარგად იყენებდნენ სტუმრების კართან შექმნილ სახიფათო მომენტებს მაშინ, როცა „ტრუდის“ ფორვარდებმა ვერ შეძლეს საპასუხო იერიშების სათანადო ეფექტით დამთავრება.

ანგარიში ჯერ კიდევ მე-2 წუთზე გახსნა ახალკაცმა, ხოლო ტაიმის დასასრულს შაფათავამ ძლიერი, ზუსტი დარტყმით დაამთავრა თავისი გარღვევა—2:0. შესვენების შემდეგ კოშკელოვმა და ახალკაცმა კიდევ თითო ბურთი გაიტანეს და „ლოკომოტივმა“ ეს საპასუხისმგებლო მატჩი თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

საჭიროება მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ თბილისელთა რიგებში მეორე ტაიმში მოხდა ცვლილება: აპრესიანი შეცვალა დავითულიანმა, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ გამოიჩინა საჭირო ინიციატივა და ძალზე პასიურად ჩაატარა თამაში.

რ. ქორიძე

სურათზე: თბილისელთა მარცხენა გარემარი ა. კოშკელოვი მოწინააღმდეგე მცველთან ბრძოლის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ერევნული ბიბლიოთეკა

გათამაშების ცხრილი

(II ჯგუფი, II ქვეჯგუფი)

მდგომარეობა 25 ივლისისათვის

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
სკა (ოდესა)	19	10	8	1	23—7	=+16	28
„შახტიორი“ (ყარაგანდა)	19	9	6	4	26—14	=+12	24
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	19	7	7	5	16—16	= 0	21
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	19	7	6	6	24—18	=+ 6	20
„არარატი“ (ერევანი)	19	6	8	5	18—12	=+ 6	20
„კარპატი“ (ლვოვი)	18	8	3	7	24—22	=+ 2	19
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	19	8	3	8	17—17	= 0	19
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	19	7	5	7	17—20	=— 3	19
„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)	19	6	7	6	16—22	=— 6	19
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	18	4	10	4	11—9	=+ 2	18
„დინამო“ (ტალინი)	18	4	7	7	15—18	=— 3	15
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	19	5	5	9	14—20	=— 6	15
„ალგა“ (ფრუნზე)	20	5	5	10	20—34	=—14	15
„სპარტაკი“ (გომელი)	19	2	8	9	7—19	=—12	12

მეორე ჯგუფში

23 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის მეორე ჯგუფის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

ერევნის „არარატმა“ მოუგო „ურალმაშს“ (სვერდლოვსკი)—1:0, ვოლგოგრადის „ტრაქტორმა“ — „ალგას“ (ფრუნზე) — 1:0. ფრედ ითამაშეს „მეტალურგმა“ (ზაპოროჟიე) და „შახტიორმა“ (ყარაგანდა)—0:0. „დნეპრმა“ (დნეპროპეტროვსკი) საკუთარ მინდორზე დამარცხება განიცადა მოსკოვის „ლოკომოტივისაგან“—0:1.

დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საკავშირო პირველობის კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ დუბლიორი ფეხბურთელები.

თამაში მოიგეს ქუთაისელებმა — 1:0.

ლიდერთა შეხვედრა

„ენგურჰესი“ (ზუგდიდი) — „ცისკარი“ (ცხაკაია) 2:2. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური). ორი გუნდის შეხვედრა, რომლებიც სათავეში უდგანან რესპუბლიკურ ჩემპიონატს, დიდ ინტერესს იწვევდა. მატჩის შედეგს საგრძნობი მნიშვნელობა ჰქონდა მეტოქეთათვის.

მოწინააღმდეგეებმა ძალიან მაღალ ტემპში დაიწყეს თამაში და უკვე მე-13 წუთზე სტუმრებმა გაითამაშეს მწვავე კომბინაცია, რომლის შედეგადაც „ენგურჰესის“ მეკარე კიტიას მოუხდა მეტად ძნელი ბურთის აღება. ცხაკაიელებს შემდგომშიც არ შეუნელებიათ იერიშები და მალე მასპინძელთა კარი აღებულ იქნა — 1:0.

გაშვებულ გოლს ზუგდიდელებმა კონტრშეტევით უპასუხეს. განსაკუთრებით აქტიური იყო მარცხენა გარემარი ბელია. სწორედ მისი გარღვევის შედეგად იქნა დანიშნული „ცისკრის“ კარში საჯარიმო, რომელიც ზუსტად გამოიყენა თვით „დაზარალებულმა“ — 1:1.

შესვენების შემდეგ ინიციატივამ ზუგდიდელთა მხარეს გადაინაცვლა და ახლა დიდი დატვირთვა დაიწვა სტუმრების შეკარე ნიშნიანიძეს. და მაინც, მეორე გოლი გატანილ იქნა „ენგურჰესის“ კარში. მისი ავტორი იყო მცველი მანჯგალაძე — 2:1. მხოლოდ მატჩის მიწურულში შეძლეს მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება (თირქია) და მატჩი ფრედ დამთავრდა.

ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად...

„მეშახტე“ (ტყიბული) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:0. მსაჯი მ. ნადეროვი (რუსთავი). არანაკლებ საინტერესო იყო ამ ორი გუნდის შეხვედრაც. ბრძოლამ თავიდანვე უაღრესად დაძაბული ხასიათი მიიღო. ორმხრივი იერიშებისას სახიფათო მომენტები ხშირად იქმნებოდა როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის კართან, მაგრამ თავდამსხმელთა არაზუსტი დარტყმების გამო ანგარიში პირველ ტაიმში არ გახსნილა.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა საგრძნობლად გააძლიერეს შეტევა და 69-ე წუთზე მათ მიერ გატანილ იქნა კიდევ გოლი, რომელმაც მეტად საჭირო გამარჯვება მოუტანა „მეშახტეს“. აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთელებს დარჩენილ დროში მნიშვნელოვანი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ფორვარდები მოქმედებდნენ შეჯგუფულად, ჩქარობდნენ და ამიტომ მთელი რიგი ხელსაყრელი მომენტები არ იქნა გამოყენებული.

◆ **„მეტალურგი“ (ზესტაფონი) —„მეშახტე“ (ტყვარჩელი) 2:0. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).** მეტალურგები დაწინაურდნენ ჯერ კიდევ პირველ ტაიმში. მათ ორი გოლი გაიტანეს. „მეშახტემ“ გარდატეხის შეტანა თამაშში შეძლო მხოლოდ შესვენების შემდეგ, მაგრამ მასპინძლებმა შეინარჩუნეს ანგარიში თავიანთ სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ სტუმრებმა ვერ შეძლეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის გამოყენებაც კი.

◆ **„მერცხალი“ (მახარაძე) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 0:1. მსაჯი კ. ლოგინოვი (თბილისი).** პენალტი არ იქნა რეალიზებული ამ თამაშშიც. მას შემდეგ, რაც მახარაძელებმა საკუთარ კარში მიიღეს ბურთი, მათ მიეცათ 11-მეტრიანი დარტყმის უფლება, მაგრამ გუნდმა ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენა.

◆ **მახარაძის „მერცხალმა“** დაამარცხა **ახალციხის „მესხეთი“** — 1:0, ხოლო **სამტრედიის „ლოკომოტივისა“** და **ფიზკულტურის ინსტიტუტის (თბილისი)** გუნდის შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1.

საქართველოს პირველობა

მორიგი ტურის ფინ

დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრე. ორმა გუნდმა („ვოლგა“, „კრილია სოვეტოვი“) უკვე განვლო დისტანციის ზუსტად ნახევარი, უმრავლესობა პირველ წრეს დაამთავრებს დღეს, ხოლო ზოგიერთებს მორჩენილი თამაშების „დამრგვალება“ მოუწევთ მოგვიანებით, მეორე წრეში. ასე რომ, კალენდარს ჯერ კიდევ ვერ მიეცა ტურებად დანაწევრებული, გარკვეული სახე.

გათამაშების ამ უაღრესად საპასუხისმგებლო ეტაპზე ლიდერთა ჯგუფში არნახული სივიწროვეა. პირველ ადგილებზე მყოფ სამ გუნდს (მოსკოვის „ტორპედო“ და „სპარტაკი“, თბილისის „დინამო“) აქვს 20 ქულა თვითეულს, ხოლო მომდევნო ორი გუნდი (როსტოვის სკა, „შახტიორი“) მათ ჩამორჩება სულ 1 ქულით. გარდა ამისა, მოსკოვის არმიელთა პოტენციური შესაძლებლობანი უტოლდება ლიდერებისას და ჩემპიონატის მთელი ეს მოწინავე რაზმი ახლა იბრძვის ძალების მაქსიმალური დაძაბვით. სულ მცირედენი წაფორხილებაც კი საკმარისია, და დანაკარგი სერიოზულ გამოხატულებას ჰპოვებს სატურნირო ცხრილებში. მაგალითად, „შახტიორისთვის“, რომელიც დიდ ხანს სათავეში ედგა გათამაშებას, საკმარისი გახდა ერთი დამარცხება როსტოველებთან და იგი აღმოჩნდა... V ადგილზე. ახლა ყოფილ ლიდერს სათამაშო აქვს ბაქოში, სადაც იგი მედგარ წინააღმდეგობას წააწყდება ადგილობრივი „ნეფტიანიკისგან“ და თუ დონეცკის ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს გამარჯვების მოპოვება, ისინი ცხრილის შუაგულამდე ჩამოქვეითდებიან. მატჩის მოგება ბაქოში კი ძალზე ძნელი საქმეა, ვინაიდან „ნეფტიანიკს“ უკან დასახვევი გზა აღარა აქვს. იგი 11 ქულით ბოლო ოთხეულში იმყოფება.

ძალიან სავალალო მდგომარეობაში იმყოფებიან „ზენიტი“ და „შინიკი“. ჩვენი ქვეყნის ოდესღაც ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ზენიტი“, რომელმაც შარშანდელი ჩემპიონატი VI ადგილით დაამთავრა, ახლა „სულს ღაფავს“ ბოლოსწინა ადგილზე. რამ თითქმის უიმედო მდგომარეობაშია „შინიკიც“. ეს კიდევ ერთხელ ნათლად გამოისახა წინა ტურის მატჩში ცსკასთან, რომელიც იაროსლაველთა მიერ წაგებულ იქნა გამანადგურებელი ანგარიშით 2:10. „შინიკს“ საკუთარ მინდორზე დღეს ასე თუ ისე შეუძლია წარმატების იმედი იქონიოს „კარატთან“ შეხვედრაში, ხოლო „ზენიტს“ მეტისმეტად გაუჭირდება მინსკის „დინამოსთან“ გამკლავება, თუმცა ეს მატჩი ლენინგრადში უნდა ჩატარდეს.

25 ივლისის ტურში საყოველთაო ყურადღებას იპყრობს მატჩი მოსკოვში ადგილობრივ „ტორპედოსა“ და „დინამოს“ შორის. ავტოქარხნელებმა ბოლო 6 თამაშში დაგროვეს 10 ქულა, ამასთან მათი თავდასხმის აგრესიულობა გაიზარდა ისე, რომ იგი საკმაოდ დაცილდა კონკურენტებს გატანილი გოლების მიხედვით. „ტორპედო“ ახლა ლიდერია, თანაც 1 მატჩი აქვს თადარიგში (მოსკოვის „სპარტაკთან“). აი, ეს გუნდი უნდა შეხვდეს სსრ კავშირის ჩემპიონს — მოსკოვის „დინამოს“, რომელიც წელს ისევე შორსაა თავისი შარშანდელი ფორმისაგან, როგორც ახლა ლიდერებისგან (XII ადგილი). ცხადია, ორივე გუნდი ძალების დაუზოგავად იბრძოლებს დღევანდელ მატჩში.

არანაკლებ მწვავე იქნება ბრძოლა როსტოვში ადგილობრივ არმიელებსა და კიევის „დინამოს“ შორის. როსტოველებს გარკვეული უპირატესობანი აქვთ ამ საპასუხისმგებლო მატჩში. გუნდი ამჟამად საუკეთესო ფორმაშია, თამაშობს საკუთარ მინდორზე, გარდა ამისა, კიეველთა შემადგენლობაში არ იქნება მათი ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდი ვ. სერებრიანიკოვი, რომელიც მინდვრიდან იქნა გაძევებული თბილისის სტადიონზე. მაგრამ მხოლოდ ეს არ განსაზღვრავს მომავალი შეხვედრის სავარაუდო შედეგს. დინამოელები ყველაფერს გააკეთებენ პოზიციების შესანარჩუნებლად.

დაბოლოს, მატჩი „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი). თბილისელ მაყურებლებს შესაძლებლობა მიეცათ ნახონ რესპუბლიკის მეორე გუნდი, მხოლოდ, ახლა, პირველი წრის დასასრულს, მაგრამ მით უკეთესი: სწორედ ახლა თამაშობენ ქუთაისელები სრული სიძლიერით და მათი რენესანსი, რომელიც უფროსი მწვრთნელის ა. ჟორდანიას მოსვლიდან დაიწყო, დაემთხვა მატჩს თბილისელებთან.

დღეს ჩვენ იმედის თვალით ვუყურებთ ორივე გუნდს — ერთს სატურნირო ცხრილის თავში, ხოლო მეორეს იქ, სადაც ჰერსპექტივები სასიხარულოა — შუაგულში. მათი მატჩი უაღრესად საინტერესოა.

ჩემი ჩანაწერები

6. ნონამ რუბიკონს გადააბიჯა

ნინო გრუშკოვა-ბელსკას საქართველოში ბევრი იცნობს. ამ ნაცნობობას დიდად შეუწყო ხელი ნ. გაფრინდაშვილის ბრძოლამ ე. ბიკოვასთან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისთვის. სწორედ ნინო იყო ამ ისტორიული მატჩის მთავარი „მედიატორი“ და სწორედ მან, ამ ორთაბრძოლის უანგარო არბიტრმა, პირველმა მიულოცა ნონას საჭადრაკო ტახტზე ასვლა.

„საჭადრაკო მერიდიანები“ გეოგრაფიული მერიდიანებივით ჰკვეთენ ჩვენს პლანეტას. ისინი გადიან მოსკოვში, შორეულ არგენტინაში, ბუდაპეშტში, თბილისში. ასევე ყველგან, ვინაიდან ჭადრაკი მასებს უყვართ. ამ მხრივ პრაღას ბოლო ადგილი როდი უჭირავს! აქ ცხოვრობენ მ. ფილიპი, ლ. პახმანი... და, ბოლოს, ქართველი მსოფლიო ჩემპიონის პირველი მეკვლე — ნ. გრუშკოვა-ბელსკა.

თავი დავანებოთ საჭადრაკო ლირიკას და ნინო გრუშკოვა-ბელსკას ვესტუმროთ. შინ მთელი ოჯახი დაგვხვდა — ნინო, მისი ქმარი ალოიზი და მათი ერთადერთი ქალიშვილი — იარმილა.

— ორი კორესპონდენტის სტუმრობა სახუმრო საქმე არაა, — ღიმღლით გვითხრა ნინომ „ზარია ვოსტოკას“ „ქეშიკს“ ი. ბერიძეს და ამ სტრიქონების ავტორს და ოთახში შეგვიძღვა. საუბარი თავიდანვე ძალდაუტანებლად წარიმართა. გულია მასპინძლები უფრო ჰგავდნენ რეპორტიორებს, ვიდრე ჩვენ. მათ სეტყვასავით დაგვაყარეს კითხვები: „რომელ ტურნირებში აპირებს ნონა მონაწილეობას?“, „როგორ არიან თქვენი მოჭადრაკეების მთავარი მწვრთნელი გ. გაჩეჩილაძე და „ქართველი ფლორი“ — თ. გიორგაძე?“, „ჩვენში ჩამოსვლას ხომ არ აპირებს გ. სიხარულიძე?“...

ამომწურავი პასუხების შემდეგ ჩვენც გაგვეხსნა „ხელფეხი“ და ნინოს ავტორისა და გამომცემელთა სამახსოვრო წარწერებით დამშვენებული თ. გიორგაძის „გზა მწვერვალისაკენ“ და გაფრინდაშვილ-ბიკოვას მატჩისადმი მიძღვნილი წიგნი გადავიცით. საჩუქრებმა ოჯახი ძალიან გაახარა... გატაცებით ათვალიერებდნენ წიგნებს და ნინო გზადაგზა იგონებდა ამ ისტორიული მატჩის პერიპეტიებს, მსჯელობდა ქალთა ჭადრაკის მომავალზე...

— მაგონდება 1945 წელი, — ამბობს ნინო.—მაშინ ქალთა ჭადრაკი ხელახლად იდგამდა ფეხს. და აი, მას შემდეგ იგი გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ. მსოფლიოს ახლანდელი საუკეთესო ათეული გაცილებით ძლიერია 20 წლის წინანდელზე. საერთოდ, ჭადრაკში შედარებით იოლია მიაღწიო ოსტატობის გარკვეულ სიმაღლეს, მაგრამ ამ რუბიკონის იქით გადასვლა ყველას არ შეუძლია. ეს ბრწყინვალედ გააკეთა თქვენმა ნონამ.

საუბარში ერევა ალოიზი:

— მე ვნახე ნონა ციატნოტში, მაგრამ გამაოცა მისმა შეუდრეკლობამ, გამძლეობამ და სიმშვიდემ. სწორედ ამ თვისებების წყალობით დააღწია თავი ნონამ ციატნოტს და გამარჯვებაც მოიპოვა...

ნინომ ერთ ხანს აცალა მეუღლეს, მერე კი ხუმრობით სიტყვა შეაწყვეტინა:

— ქალთა ჭადრაკი შენი კომპეტენცია არაა! გირჩევნია თავს მოუარო, თორემ ოსტატობის კანდიდატის წოდებასაც დაკარგავ...

ალოიზი ცუდი მოჭადრაკე როდია, მაგრამ ახლა ნაკლებად მეცადინეობს. იგი „დინამოს“ ჭადრაკის სექციის თავმჯდომარის პოსტზე საორგანიზაციო საქმეებს უფრო მეტ დროს ანდომებს, ვიდრე ჭადრაკში მეცადინეობას.

ალოიზი და ნინო ფაშისტური გერმანიის ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში ერთად იყვნენ და სწორედ იქიდან დაუკავშირეს ერთმანეთს ბედი სამუდამოდ. ალოიზი თავის დროზე ხელბურთისა და ფეხბურთის დიდი ტრფიალი ყოფილა. იგი დასწრებია მატჩს, რომელშიც მონაწილეობდა ორი ლეგენდარული მეკარე — ესპანელი რიკარდო ზამორა და ჩეხი ფრანტიშეკ პლანიჩკა. მატჩი, რომელიც ფრედ დამთავრებულა (1 : 1), ალოიზს დღესაც კარგად ახსოვს.

— მე მწამს, რომ ნონა უძლიერესია აქამდე არსებულ ჩემპიონებზე. — ისევ ჭადრაკზე ჩამოაგდო სიტყვა ნინომ. — ჩემი აზრით, მან მხოლოდ ვაჟებთან უნდა ითამაშოს და ქალთა ტურნირებში დრო არ უნდა დაკარგოს.

ჩვენს კითხვაზე, თუ ვინ იქნება ნონას მეტოქე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში, ნინომ კონკრეტული პასუხი ვერ გაგვცა, მაგრამ თქვა, რომ პრეტენდენტი უთუოდ საბჭოთა მოჭადრაკე იქნებაო.

— თუ ასე არ მოხდა, ამას სენსაციად მივიჩნევ. საერთოდ, მოჭადრაკე ქალთა შორისაც საბჭოთა კავშირია ყველაზე წინ, მის ფარგლებში კი საქართველოს წარმომადგენლები არიან მოწინავენი. საერთოდ, თქვენს ქალთა გუნდს შეუძლია წარმატებით ეთამაშოს რომელიც გნებავთ ქვეყნის ნაკრებს. ამ მოსაზრებას გაზვიადებულად ნუ მიიჩნევთ, — თქვა ნინომ და განაგრძო, — პირადად მე მივესალმებოდი ჩეხოსლოვაკია-საქართველოს მოჭადრაკეთა გუნდებს შეკრებას ათ დაფაზე (7 ვაჟი და 3 ქალი).

ნინოს ამჟამად ... ეკონომიკის ინსტიტუტი და საგარეო ვაჭრობის დარგში მუშაობს, თავისუფალ დროს კი ჭადრაკს ანდომებს. ამას წინათ ვაჟთა მეოთხედფინალში უთამაშია... სამუშაო ბევრი აქვს, მისი ხელი ყველგან წვდება და, ასე განსაჯეთ, მოჭადრაკე-არბიტრი სახალხო მსაჯულის პოსტზეც პირნათელ „მედიატორად“ გვევლინება ხოლმე...

ჩვენი საუბარი მიიწურა. ბოლო ოჯახი გულთბილად გვაცილებს და მხურვალე მოკითხვას გვაბარებს თბილისელ ნაცნობებთან.

ჯ. ენუქიძე

* * *

სურათზე: ეს-ეს არის ნინო გრუშკოვა-ბელსკამ ნონა გაფრინდაშვილს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მიულოცა...

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გაცნობა

„ტუ-104“ ზღვაზე მიფრინავდა. ჩვენი დიდოსტატები — საზონათშორისო ტურნირის მონაწილენი — სმისლოვი, ტალი, სპასკი, შტეინი და ბრონშტეინი შინ ბრუნდებოდნენ. ყველა თავისი საქმით იყო გართული: ზოგი — კითხულობდა, ზოგი — ოცნებობდა, ზოგიც — მეზობლებთან საუბრობდა...

„სულ ცოტა ერთ თვეს ჭადრაკს ხელს არ მოვკიდებ“, — ფიქრობდა თვითეული.

და უცებ...

— თქვენ თამაშობთ ჭადრაკს?

მიხეილ ტალის წინ იდგა ძალიან სიმპათიური, ოდნავ შეცბუნებული 16 წლის ჭაბუკი. ჩანდა, მას გადაეწყვიტა, რომ ეს პარტნიორი უფრო შეეფერებოდა ასაკით.

— ცოტას, — გაიღიმა დიდოსტატმა.

— ხომ არ ვითამაშოთ?

— მორიდებით თქვა აწითლებულმა ჭაბუკმა.

უარის თქმა სისასტიკე იქნებოდა. დაფაზე ფიგურები დააწყეს და ბრძოლაც დაიწყო. პირველი პარტია მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა „ძლივს“ მოიგო. დაიწყო მეორე პარტია.

— თქვენ კარგად თამაშობთ, — თქვა ჭაბუკმა და ტალს შეხედა, — საიდან მოფრინავთ?

— ამსტერდამიდან.

— სპეციალობით ვინ ბრძანდებით?

— ჟურნალისტი და... სხვათა შორის, დიდოსტატიც, — უპასუხა ტალმა და მორიგი სვლა გააკეთა.

ჭაბუკი ძალიან შეწუხდა. მან გაიხსენა, რომ ეს ნაცნობი სახე ბელგიის გაზეთებში უნახავს.

ტალის „მეტოქე“ იყო შესანიშნავი საბჭოთა პიანისტი, ბელგიის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული ევგენი მოგილევსკი.

VI საზონათშორისო ტურნირის ბიულეტენი № 10.

„სანტოსი“ ეთხოვება თასს

საკონტინენტთაშორისო თასის 1963 წლის მფლობელი—ბრაზილიის ფეხბურთელთა კლუბი „სანტოსი“ უკვე ვეღარ შეძლებს ამ საპატიო სპორტული ნადავლის შენარჩუნებას. საქმე ის არის, რომ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალურ მატჩებში „სანტოსმა“ ორივე თამაში წააგო არგენტინის „ინდეპენდიენტესთან“—2:3 და 1:2 და გამოეთიშა ბრძოლას.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელ „ინტერნაციონალეს“ (მილანი) ფინალში საქმე ექნება ან „ინდეპენდიენტესთან“ ან ურუგვაის „ნასიონალთან“, რომელმაც მეორე ნახევარფინალის პირველ თამაშში მოუგო ჩილის „კოლო-კოლოს“ (4:0).

საკონტინენტთაშორისო თასის პირველი ფინალური მატჩი გაიმართება 9 სექტემბერს სამხრეთ ამერიკაში, ხოლო მეორე—16 სექტემბერს იტალიაში.

თუ ეს შეხვედრები გამარჯვებულს ვერ გამოავლენს, მსოფლიოს ორი უძლიერესი საკლუბო გუნდის გადამწყვეტი შეხვედრა ჩატარდება 23 სექტემბერს ბელგიაში.

სიხარული და ცრემლები

როდესაც მილანის „ინტერნაციონალემ“ ვენაში ძლია მადრიდის „რეალს“ (3:1) და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა, იტალიელთა მწვრთნელმა ე. ერერამ განაცხადა, რომ ეს დღე უბედნიერესი იყო მის ცხოვრებაში. იტალიელი ჟურნალისტების ცნობით, მაშინ ერერა მილანში დაბრუნდა როგორც ტრიუმფატორი.

მაგრამ, როცა იტალიის ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში „ბოლონიამ“ მოუგო „ინტერნაციონალეს“ (2:0), იტალიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს სულ სხვანაირი ინფორმაცია — თამაშის დამთავრების შემდეგ თვით მრავალცადმა ელენიო ერერამაც კი ვეღარ გაუძღო მღელვარებას და ცხარე ცრემლით ატირდა!

ტრაგედია „ტურ დე ფრანსის“ ეტაპზე

პროფესიული ველოსიპედოსნის — „ტურ დე ფრანსის“ XIX ეტაპზე მოხდა საშინელი კატასტროფა. სპორტსმენები ქალაქ ლიმოჟს უსასოვდებოდნენ. გზატკეცილის ორივე მხარეს ათასობით მაყურებელი იდგა, რომლებიც თვალს ადევნებდნენ რბოლას. სპორტსმენების წინ 80 კილომეტრი სისწრაფით საათში მიქროდა ველოსიპედოსნის მომსახურე პოლიციის მანქანა. განსაკუთრებით ბევრი სპორტის მოყვარული შეიკრიბა ქვის ხიდზე. მანქანამ არც აქ დაუკლო სიჩქარეს და შეიჭრა მაყურებლებში, გაარღვია ქვის ბეღელი და არხში გადაიჩეხა. მოაჯირთან მყოფი ბევრი მაყურებელი წყალში გადავარდა. ჭანდარმი მაშინვე გადმოხტა მანქანიდან, როგორც კი იგრძნო, რომ საჭეს ვერაფერი მოუხერხა. პოლიციელებს რომ არ მოესწროთ, ჭანდარმს ალბათ ლინჩის წესით გაასამართლებდნენ მაყურებლები.

ველოსიპედოსნებს შეწყდა. კატასტროფის ადგილზე მაშვნელ გუნდებს წყლიდან ამოჰქონდათ ადამიანთა გვამები. არასრული მონაცემებით დაიღუპა 12 კაცი, 12 კი მძიმედ დაიჭრა.

„კვლავ კატასტროფა „ტურ დე ფრანსში!“ — წერს ავსტრიული გაზეთი „ფოლკსშტიმე“. — ამ რბოლისთვის ეს ახალი არ არის. წინათაც იყო მსხვერპლი, მაგრამ ასეთი — არასოდეს“.

ახალი ამბების სააგენტო.



▲ **ბერლინი.** ავსტრიის, გდრ-ის, სსრ კავშირისა და ბერლინის „დინამოს“ ხუთეულთა საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში არიან ერევნელი ი. ნოვიკოვი, თბილისელი ი. მურომცევი და ლენინგრადელი ი. სავიტსკი, წარმატებით დაიწყო შეჯიბრება და ფარიკაობაში გუნდური I ადგილი დაიკავა (2.910 ქულა).

▲ **ვარშავა.** პოლონეთის ჩემპიონის წოდება კრივში მოიპოვეს: ოლეხმა, ბენდინგმა, ადამსკიმ, პეტეკმა, კულეიმ, დროგოშმა, გეშმაკმა, ვალასეკმა, პეტშიკოვსკიმ და კუბაცკიმ.

▲ **ბელგრადი.** ევროპის 1965 წლის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში გაიმართება ქალაქ ლიუბლიანაში. მასში მონაწილეობის სურვილი 19-მა ქვეყანამ განაცხადა.

▲ **ჩიკაგო.** ფეხბურთელთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში „ზაგლემბემ“ (პოლონეთი) დაამარცხა „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — 3:1.

▲ **ბრისტოლი.** დაიწყო დევისის თასის გათამამების ზონალური მატჩები. საფრანგეთის ჩოგბურთელებმა დაამარცხეს ინგლისელები — 3:2, ავსტრალიამ კი მოუგო კანადას — 3:0.

▲ **ბუქარესტი.** რუმინეთის თასი ფეხბურთში მოიგო დედაქალაქის „დინამომ“, რომელმაც ფინალში დაამარცხა „სტიაუა“ — 5:3.

▲ **რომი.** იტალიურმა კლუბმა „სამპდორიამ“ 300 მილიონ ლირად იყიდა „რომას“ თავდამსხმელი, პოპულარული იტალიელი ფეხბურთელი ანჟელო ბენედიტო სორმანი.

▲ **კოპენჰაგენი.** სკანდინავიის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი ოლე მადსენი, რომელიც ამავე დროს დანიის ეროვნული ნაკრების მთავარ ძალას წარმოადგენს, საცხოვრებლად ბარსელონაში გადადის. ჟურნალისტების აზრით, იგი კონტრაქტს დადებს რომელიმე ადგილობრივ გუნდთან.

▲ **მადრიდი.** ადგილობრივმა „რეალმა“ გაათავისუფლა მეკარე ვიჩენტე, რომელსაც „სარაგოსაში“ სურს გადასვლა. სამაგიეროდ, „რეალის“ ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას აწარმოებს იტალიის „ფიორენტინასთან“ პერუელი ფეხბურთელის სემინარიოს შესასყიდად.

▲ **ლონდონი.** უიმბლდონის ქალთა ტურნირში დიდი ბრიტანეთი სხვა ჩოგბურთელებთან ერთად წარმოდგენილი იყო კრისტინა ტრუმენით. ამ სპორტსმენმა მონაწილეობა მიიღო როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა და შერეულ წყვილთა შეხვედრებში. წყვილთა თამაშებში მას პარტნიორად ჰყავდა საკუთარი და — ნელი, ხოლო შერეულ წყვილში — ძმა ხემფრიმი.

▲ **პარიზი.** ცნობილი კინომსახიობი უან პოლ ბელმონდო წულის თხილამურების დიდი მოტრფიალეა. ამას წინათ ქალაქ ბურეეში გამართულ ტურნირში ბელმონდომ I ადგილი დაიკავა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



ფეხბურთი. 25 ივლისი. სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის გუნდებისთვის. „**დინამო**“ (თბილისი) — „**ტორპედო**“ (ქუთაისი) — ძირითადი შემადგენლობანი. „დინამოს“ სტადიონი. დასაწყისი 20 ს.

ქუთაისისა და თბილისის ოსტატ ფეხბურთელთა მატჩის წინ, 18 საათსა და 45 წუთზე, ერთმანეთს შეხვდებიან თბილისისა და ბათუმის ქუჩების გუნდებს შორის გამარჯვებულნი: „**შუბა**“ (თბილისი) — „**ბაზაზული**“ (ბათუმი).

წყალბურთი. 26 ივლისი — 1 აგვისტო. რესპუბლიკური პირველობა. ფიზკულტურელის პარკის საცურაო - აუზი. დასაწყისი 18 საათზე, 1-ში დღის 12 საათზე. მონაწილეობენ: ხოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და თბილისის „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „ლოკომოტივის“ გუნდები.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, **დეპეშებისთვის** — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები: რედაქტორი** — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე)—პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია—5-16, მემანქანეთა ბიურო—5-11, გამომშვები—3-84.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 08291